სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/23

ქ. თბილისი 11 მარტი 2024 წ.

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 48-ე მუხლის შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს დასახელების ცვლილებასთან, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეების და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილების შეტანას.
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**